

## განმარტებითი ბარათი

### „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოში ბოლო დროს გატარებული სამართლებრივ-ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების შედეგად გამარტივდა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი დებულებები, მათ შორის აღსანიშნავია სამეწარმეო სუბიექტთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის გამარტივება და ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება. განხორციელებულმა ცვლილებებმა საკმაოდ პოზიტიური და ეფექტური შედეგები გამოიღო ჩვენს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისა და სტიმულირების კუთხით. ამასთან, პრაქტიკაში გამოვლინდა ზოგიერთი საკითხი, რომელიც მოითხოვს დაზუსტებას საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების სანდოობის ხარისხრის ამაღლებისა და სამეწარმეო ურთიერთობებში მონაწილე მესამე პირთათვის დამატებითი გარანტიების შექმნის კუთხით. არსებულმა პრაქტიკამ დაგვანახა სამართლებრივი ბაზის დახვეწის აუცილებლობა, რაც განპირობებული იყო საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების უსაფრთხოებისათვის დამატებითი გარანტიების განსაზღვრის აუცილებლობით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის კიდევ უფრო სრულყოფისა და ხელმისაწვდომობის კუთხით მიზანშეწონილია აღნიშნული ბაზა აწარმოოს და, შესაბამისად, მითითებულ სუბიექტთა რეგისტრაცია განახორციელოს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელსაც, თავის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და თანამედროვე მოთხოვნებისთვის შესაბამისი მონაცემთა ბაზა გააჩნია ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნული ნოვაციის შედეგად მოხდება დროისა

და ფინანსური ხარჯების მნიშვნელოვანი დაზოგვა, რეგისტრაციის პროცესის კიდევ უფრო გამარტივება და რეგისტრირებულ მონაცემთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.

კანონპროექტის კიდევ ერთ პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა ლიკვიდაციის პროცესის სწრაფი და ეფექტური მექანიზმის შექმნა. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რაც საკმაოდ არაეფექტურსა და დროში გაჭიანურებულს ხდის საწარმოთა ლიკვიდაციის პროცედურებს და რიგ შემთხვევებში პრაქტიკულად ეს პროცესი რამდენიმე წლის განმავლობაშიც გრძელდება. შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, კი ლიკვიდაციის პროცედურები, სასამართლოში საწარმოს ქონებასთან დაკავშირებული სარჩელის არარსებობის პირობებში, დასრულდება 3 თვის შემდეგ, საწარმოს ლიკვიდაციის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვიდან.

#### **ა.ბ.) კანონპროექტის მიღების მიზანი**

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დაზუსტება და კიდევ უფრო გამარტივება, საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების სანდოობის ხარისხის ამაღლება და სამეწარმეო ურთიერთობებში მონაწილე მესამე პირთათვის დამატებითი გარანტიების შექმნა. აღნიშნული კანონპროექტი, ასევე, ხელს შეუწყობს სამრეწველო და სავაჭრო პროცესების გამჭვირვალობას, დაცულობასა და სანდოობის დონის ამაღლებას.

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სამეწარმეო ურთიერთობებში მესამე პირთათვის დამატებითი გარანტიების შექმნას, ინფორმაციის მოძიების პროცესში გაწეული ხარჯებისა და დროის შემცირებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს საბაზრო ურთიერთობების ეფექტურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაზრდას.

## ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს:

საწარმოთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაცია განხორციელდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნული რეგისტრაციის შედეგად საწარმოსთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდი ავტომატურად წარმოადგენს სუბიექტის საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდს. კანონპროექტის თანახმად, საფასური საწარმოს არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის/ცვლილებების რეგისტრაციისთვის შეადგენს 70 ლარს. აღნიშნულის შედეგად, შემცირდება სამეწარმეო სუბიექტის (კომანდიტური საზოგადოების – დღეს არის 80 ლარი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - დღეს არის 160 ლარი, სააქციო საზოგადოების - დღეს არის 360 ლარი, კოოპერატივის – დღეს არის 120 ლარი) რეგისტრაციის ღირებულება.

შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, სარეგისტრაციო სუბიექტის ლიკვიდაციის პროცედურები, სასამართლოში საწარმოს ქონებასთან დაკავშირებული სარჩელის არარსებობის პირობებში, დასრულდება 3 თვის შემდეგ, საწარმოს ლიკვიდაციის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვიდან. ხოლო მითითებული სარჩელის აღზვრა სასამართლოში აჩერებს არნიშნული ვადის დინებას დავის გადაწყვეტამდე.

კანონის გარდამავალ დებულებებში (35-ე მუხლი) განისაზღვრა, რომ საწარმოებმა და დამოუკიდებელმა რეგისტრატორებმა, რომლებმაც 2008 წლის 10 მაისიდან („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში უკანასკნელი ცვლილებების ამოქმედების თარიღი) წარმოდგენილი კანონის პროექტის ამოქმედებამდე განახორციელეს სარეგისტრაციო მონაცემებში წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაცია, ვალდებულნი არიან წარმოდგენილი კანონის პროექტის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში წარუდგინონ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მათ მიერ რეგისტრირებული წილობრივი მონაწილეობის შესახებ მონაცემები (ქრონოლოგიური მდგომარეობით). საწარმოებს და დამოუკიდებელ რეგისტრატორებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ მონაცემთა წარუდგენლობით გამოწვეული ზიანისათვის.

აქვე განისაზღვრა, რომ ზემოაღნიშნულ მონაცემთა წარდგენა არ განიხილება რეესტრში ცვლილების რეგისტრაციად და შესაბამისად, ამ შემთხვევაში საფასური არ გადაიხდებიან.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება მოახდენს გარკვეულ გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე (შემცირდება).

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე (შემცირდება).

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება**

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დაიზოგება ადმინისტრაციული ორგანოების მატერიალური რესურსები.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის მურთაზ ზოდელავა, პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები მურთაზ ზოდელავა, პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე